06.07.2022
N070/22

PERI

სსიპ „გარემოს ეროვნულ სააგენტო"-ს

მოგახსენებთ, რომ შპს „ფერი"-ს ახმეტის მუნიციპალიტეტში, მდ. სამყურისწყალზე დაგეგმილი აქვს 27 მგვტ დადგმული სიმძლავრის „სამყურისწყალი 2 ჰესი"-ის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის განხორციელება.

**ზემოაღნიშნულ პროექტზე 2020 წლის 11 ივნისს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მიერ No2-479 ბრძანებით გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №52; 07.08.2017).**

საპროექტო ჰესის სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე, კომპანიის მიერ განხორციელდა პროექტით დაგეგმილი ტექნიკური გადაწყვეტილებების ცვლილება, მოსახლეობის დაჟინებული თხოვნით და ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პერიოდში გარემოზე ზემოქმედების შემცირების მიზნით, მათ შორის:

- თავდაპირველი პროექტით, საპროექტო ჰესის სათავე წყალმიმღები კვანძი შედგებოდა 10 მ. სიმაღლის ბეტონის წყალსაშვიანი კაშხლის, ერთმალიანი გამრეცხი რაბის და გვერდითი წყალმიმღებისაგან. პროექტის ცვლილების ფარგლებში წყალსაცავის მოწყობა გათვალისწინებული არ არის. პროექტით დაგეგმილია ბეტონის დაბალდაწნევიანი, წყალსაშვიანი სათავე ნაგებობის მოწყობა, რომლის სიმაღლე არ აღემატება 0.5 მ-ს.
- ვინაიდან, დაგეგმილი იყო 10 მ სიმაღლის კაშხლის მიერ შექმნილი წყალსაცავის მოწყობა ტექნიკური გადაწყვეტებიდან და რელიეფური პირობებიდან გამომდინარე სალექარის მოწყობა ვერ ხერხდებოდა, აღნიშნულ წყალსაცავს უნდა შეესრულებინა სალექარის ფუნქცია. პროექტის ცვლილების ფარგლებში დაგეგმილია ტიროლის ტიპის წყალმიმღების მოწყობა მდ. სამყურისწყალის კალაპოტში, რომელიც ტექნიკური პარამეტრებიდან გამომდინარე არ საჭიროებს მასშტაბური ტერიტორიის ათვისებას და საშუალებას იძლევა მოეწყოს ერთ კამერიანი სალექარი;
- გზშ-ს ეტაპზე დაგეგმილი იყო (კაშხლის სიმაღლის (10 მ) გათვალისწინებით), პერიოდული მოქმედების რაბის ტიპის თევზსავალის მოწყობა. ექსპლუატაციის ცვლილების ფარგლებში ვინაიდან გათვალისწინებულია მაქსიმუმ 0.5 მ სიმაღლის დაბალზღურბლიანი წყალმიმღების მოწყობა პროექტით დაგეგმილია საფეხურებიანი თევზსავალის მოწყობა, რომელიც გათვლილია 0,5 $მ^3$/ წმ ეკოლოგიური ხარჯის გატარებაზე;
- თავდაპირველად, „სამყურისწყალი 2 ჰესი"-ს მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე 2020 წლის 11 ივნისს No2-479 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიხედვით სამშენებლო ბანაკის მოწყობა გათვალისწინებული იყო მდ. ალაზნის მარჯვენა სანაპიროზე ხელოვნურად შექმნილ ტერასაზე, შპს „აღმოსავლეთის ენერგოკორპორაცია"-ს საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე (ს.კ: 50.25.33.001). ვინაიდან, შპს „ფერი"-ს მიერ ტერიტორიის იურიდიულ მესაკუთრესთან ვერ მოხდა შეთანხმება მიწის ნაკვეთით სარგებლობაზე,

ქ.ჩარაევას N 8, 0159 თბილისი, საქართველო
+995 32 2526871 INFO@PERI.GE WWW.PERI.GE

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
„06" 07 2022
№ 2978

PERI

06.07.2022
N070/22

აღნიშნულიდან გამომდინარე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სამშენებლო ბანაკის ტერიტორიის ცვლილების შესახებ. პროექტის ექსპლუატაციის ცვლილების ფარგლებში სამშენებლო ბანაკი განთავსდება შპს ,,ფერი"-ს საკუთრებაში არსებულ არასასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს.კ 50.25.33.010).

- გზშ-ს ეტაპზე განსაზღვრული სანაყაროს ტერიტორიის ნაწილი ხვდებოდა ზემოაღნიშნულ, შპს ,,აღმოსავლეთის ენერგოკორპორაცია''-ს საკუთრებაში არსებულ ნაკვეთზე (ს.კ 50.25.33.001), ხოლო ნაწილი სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე, რამაც ასევე, განაპირობა კომპანიის მხრიდან სანაყაროს განთავსების ადგილმდებარეობის ცვლილება. პროექტის ცვლილების ფარგლებში სანაყარო განთავსდება სამშენებლო ბანაკიდან 2,8 კილომეტრის მოშორებით სამხრეთ დასავლეთის მიმართულებით 6850 მ$^2$ ფართობ მიწის ნაკვეთზე.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მე-5 მუხლის, მე-12 პუნქტის საფუძველზე, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლა ან/და ექსპლუატაციის პირობების შეცვლა, მათ შორის, წარმადობის გაზრდა, ამ კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მომზადდა სამყურისწყალი 2 ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის ცვლილების სკრინინგი ანგარიში.

გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი დოკუმენტი და გასცეთ სკრინინგის გადაწყვეტილება.

**წერილს თან ერთვის:**

- სკრინინგის ანგარიში - ელექტრონული ვერსია;
- საქმიანობის განხორციელების ადგილის GIS (გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემა) კოორდინატები, shape ფაილის სახით - ელექტრონული ვერსია;
- სანაყაროს პროექტი -ელექტრონული ვერსია.

პატივისცემით,

შპს ,,ფერი"-ს დირექტორი

იოსებ მჭედლიშვილი

PERI ფერი 211352107

ქ.ჩარკვიანის N 8, 0158 თბილისი, საქართველო
+995 32 2528871 INFO@PERI.GE WWW.PERI.GE